ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N1

31 იანვარი 2020 წელი

ქ. ბაღდათი

„ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შეტანილი იქნეს ცვლილება „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2020 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ'' ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N 25 დადგენილებაში (საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი www.matsne.gov.ge 30.12.2019წ. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.124.016381) დადგენილებით დამტკიცებული წესის:

1. მე-3 მუხლის ,,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრებზე (მშობელს, მეუღლეს ან შვილს) ერთჯერადი დახმარება. პროგრამული კოდი 060203" 3.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში გარდაცვლილ მებრძოლთა ოჯახები (მშობელი, მეუღლე ან შვილი) - ერთჯერადად 250 ლარის ოდენობით.“

2. მე-7 მუხლის ,,თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა მხარდაჭერა“ 7.1 პუნქტის 7.1.3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7.1.3. დახმარება გაიცემა წელიწადში ერთჯერადად, არა უმეტეს 300 ლარისა;“.

3. მე-19 მუხლის ,,შინ მოვლა“ 19.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19.1. პროგრამით ისარგებლებენ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ხანდაზმულები, შეზღუდული შესაძლებლობის და ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მარტოხელა ან მზრუნველობამოკლებული ხანდაზმული, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სრულწლოვანი პირი, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს;“.

გ) ქრონიკული ან დროებითი ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი, რომელიც არის საწოლს ან სახლს მიჯაჭვული და მისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000-ს."

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **შალვა მშვილდაძე**